ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 38

ქალაქი ბათუმი 07 აპრილი 2011 წელი

ერთი მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრი გია აბულაძის სახით და მეორე მხრივ შპს „ირბათ ფ.ნ" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორი ციცინო კიკაჩეიშვილის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 29 მარტის N32 განკარგულების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა" – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული და მხარეთა მიერ ხელმოწერილი „გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა", რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა Toyota Camry–ის (2006 წლის გამოშვება, საწვავის ტიპი ბენზინი, სახელმწიფო ნომერი MMA-747) ტექნიკური მომსახურების და მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

2.2. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი (დასახელება) და რაოდენობა განსაზღვრულია გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3790 (სამი ათას შვიდას ოთხმოცდაათი) ლარს.

3.2. მომსახურების ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის წესი, ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდში.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება განახორციელოს გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვით კონკრეტული მომსახურებისათვის განსაზღვრულ ვადაში.

შემსყიდველი მიმწოდებელი

"ირბათ ფ.ნ." IRBAT F.N. 245392189

4.3. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვით კონკრეტული მომსახურებისათვის განსაზღვრული ვადის ათვლის დღედ ითვლება შემსყიდველის მიერ ავტომანქანის მიმწოდებლის კუთვნილ სერვისცენტრში მიყვანის დღე.

4.4. ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება გულისხმობს გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის შესასრულებელ ყველა სახის სამუშაოს ავტომანქანის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

4.5. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მომსახურების გაწევის პროცესში გამოიყენოს ახალი (ქარხნული წარმოების) სათადარიგო ნაწილები. სათადარიგო ნაწილების ფასი შედის მომსახურების ღირებულებაში.

4.6. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კონკრეტული მომსახურების გაწევა განახორციელოს გონივრულ ვადაში.

4.7 ყოველ კონკრეტულ ეტაპზე გაწეული მომსახურების შესახებ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ინფორმაცია მიღება-ჩაბარების აქტის შემდგენი მხარეების წარმომადგენლების შესახებ;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის თარიღი;

გ) მომსახურების გაწევის პერიოდი;

დ) გაწეული მომსახურების სახეობა;

ე) გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.8. თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.9. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად (წერილობითი ან ზეპირი სახით) აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.10. მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის საკუთრებაში არსებული ტექნიკური მომსახურების სერვისცენტრ(ებ)ი.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლებია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

6.4. ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურების გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

7.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7.3. 7.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია 4.9. პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7.5. მიმწოდებლის მიერ 7.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7.6. ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, გაწეული მომსახურების ხარისხზე მიმწოდებელი იძლევა 6 (ექვსი) თვიან საგარანტიო ვადას.

7.7. 7.6. მუხლით განსაზღვრული საგარანტიო ვადები ვრცელდება მომსახურების გაწევის პროცესში გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე.

7.8. საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება ისეთ დეტალებზე, რომლებიც სწორი ექსპლუატაციის პირობებში განიცდის ცვეთას.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი რამაზ დიასამიძე და ტექნიკური მუშაკი (მძღოლი) რამაზ მახარაძე.

8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულების 12.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.
12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 13.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

14.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

15.5. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
აჭარის არ განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
მამია კომახიძის ქუჩა N119
ს/კ 245427667
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
მფო BAGAGE22
ა/ა GE78BG0000000886744500

მიმწოდებელი:
შპს „ირბათ ფ.ნ“

6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლეონიძის ქუჩა N5
ს/კ 245392169
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
მფო MIBGGE22
ა/ა GE84PC0193600100007939

მინისტრი ...ია აბულაძე

დირექტორი ციცინო კიკაჩეიშვილი

ADJARIAN AUTONOMOUS REPUBLIC GEORGIA "IRBAT F.N." 245392169 L.T.D.

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	სათადარიგო ნაწილის ღირებულება		ტექნიკური მომსახურების ღირებულება		სულ ჯამური ღირებულება
				ერთეული	სულ	ერთეული	სულ	
1	ამორტიზატორი წინა	ცალი	2	250	500	40	80	580
2	ამორტიზატორი უკანა	ცალი	2	440	880	40	80	960
3	გიტარა	ცალი	2	150	300	10	20	320
4	საჭის საწევი ("ტიაგა")	ცალი	2	250	500	10	20	520
5	წინა სტაბილიზატორის მილისა (რეზინა)	ცალი	2	15	30	10	20	50
6	უკანა სტაბილიზატორის მილისა (რეზინა)	ცალი	2	15	30	10	20	50
7	ღვედი (რემნის) დამჭიმი	ცალი	3	110	330	20	60	390
8	წევის დაბოლოება (ნაკონეჩნიკი)	ცალი	2	80	160	10	20	180
9	ზეთის ფილტრი	ცალი	1	45	45			45
10	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	55	55			55
11	წინა ხუნდები	ცალი	1	190	190	20	20	210
12	უკანა ხუნდი	ცალი	1	140	140	20	20	160
13	სტაბილიზატორის კრონშტეინი (რეაქტიული სტოიკა)	ცალი	2	120	240	15	30	270
	ჯამი				3300		390	3790

შემსყიდველი

"IRBAT EN" 245392160 GEORGIA ADJARIAN AUTONOMOUS L.T.D.

მიმწოდებელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №32

2011 წლის 29 მარტი ქ. ბათუმი

სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის საძინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის საძინისტრომ, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საძინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის Toyota Camry, სახელმწიფო ნომრით MMA-747, ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე